# პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

## ვინ ვართ ჩვენ?

სს საქართველოს ბანკი არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომერციული ბანკი (შემდგომში მოხსენიებული როგორც „ბანკი“, „ჩვენ“, “ჩვენი“);

ჩვენი საიდენტიფიკაციო კოდი: 204378869;

ჩვენი მისამართი: გაგარინის ქუჩა 29ა, თბილისი 0106, საქართველო.

## შესავალი

სს „საქართველოს ბანკი“ (შემდგომში „ბანკი“) მოქმედებს საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. ჩვენთვის, როგორც წამყვანი და პასუხისმგებლიანი ფინანსური ინსტიტუტისთვის, მნიშვნელოვანია როგორც ჩვენი მომხმარებლების პერსონალურ მონაცემთა თანმიმდევრული და მაღალი ხარისხით დაცვა და  უსაფრთხოება, ისე მონაცემთა დამუშავების პროცესის საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

აღნიშნული დოკუმენტის მიზანია გაგაცნოთ როგორ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს, რა საფუძვლით და მიზნით მოვიპოვებთ და რა სამართლებრივი და ტექნიკური საშუალებებით ვიცავთ მათ.

ამასთან, წინამდებარე დოკუმენტით შეგიძლიათ მიიღოთ ინფორმაცია თქვენი უფლებების და მათი დაცვის საშუალებების შესახებ.

**ვებ-გვერდის გამოყენებით თქვენ აცხადებთ, რომ თანახმა ხართ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავდეს ამ პოლიტიკის შესაბამისად. პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა წარმოადგენს ვებგვერდის პირობების განუყოფელ ნაწილს.**

**თუ არ ეთანხმებით პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას, გთხოვთ, დაუყოვნებლივ შეწყვიტოთ ჩვენი ვებ-გვერდით/სერვისით სარგებლობა.**

## ვისთვის არის გამიზნული ეს დოკუმენტი?

წინამდებარე დოკუმენტი განკუთვნილია ნებისმიერი პირისთვის, რომელიც სარგებლობს ჩვენი ვებ-გვერდით.

## როგორ ვაგროვებთ თქვენს მონაცემებს?

თქვენს შესახებ ინფორმაციას მოვიპოვებთ უშუალოდ თქვენგან, ჩვენს ვებ-გვერდზე ვიზიტისას, რეგისტრაცია/ავტორიზაციისას და თქვენს მიერ ჩვენი მომსახურებით/პროდუქტებით სარგებლობისას.

## რა სახის მონაცემებს ვამუშავებთ თქვენს შესახებ?

საბანკო მომსახურების გაწევისას კლიენტთან ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ დამუშავებული ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს ჩამოთვლილი კატეგორიის მონაცემებს მათი დამუშავების მიზნის პროპორციული მოცულობით:

- საიდენტიფიკაციო მონაცემები - სახელი, გვარი, სქესი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი/პასპორტის ნომერი;
- საკონტაქტო ინფორმაცია - ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი;
- ფინანსური ინფორმაცია - ბარათის ნომერი, ბარათის მოქმედების ვადა, ბარათის CVC კოდი, ტრანზაქციები - გადარიცხვა, გადახდა და სხვ.;
- ტექნიკური ინფორმაცია - IP მისამართი, მზა ჩანაწერები (Cookies), ინფორმაცია თქვენს მიერ გამოყენებული მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების შესახებ;
- სხვა ინფორმაცია - ყველა ის ინფორმაცია რასაც გაგვიზიარებთ ჩვენი ვებ-გვერდის მეშვეობით.

## მზა ჩანაწერები (Cookies)

ჩვენ ვცდილობთ ჩვენს ვებ-გვერდზე ყოფნისას მუდმივად გაგიუმჯობესოთ მომსახურების ხარისხი და გამოცდილება. შესაბამისად, ჩვენი ვებ-გვერდითა და სხვა დისტანციური პლატფორმებით სარგებლობისას ჩვენ ვაგროვებთ ე.წ. მზა ჩანაწერებს თქვენს შესახებ. მზა ჩანაწერები (cookies) გამოიყენება ვებ-გვერდითა და სხვა დისტანციური პლატფორმებით სარგებლობისას თქვენი გამოცდილების პერსონალიზირების, გაუმჯობესების და თქვენი უსაფრთხოების მიზნით. კერძოდ, ნავიგაციის გამარტივების, ინფორმაციის სასურველი ფორმატით შეთავაზების, ძებნის პარამეტრების გაუმჯობესების, მომხმარებლის უსაფრთხო ავტორიზაციის, მარკეტინგის, ვებ-გვერდების დიზაინის ოპტიმიზაციისა და მომხმარებლისთვის უკეთესად ადაპტირების მიზნებით.

მზა ჩანაწერების მეშვეობით ვადგენთ ოპერაციული სისტემის ვერსიას, მოწყობილობის მოდელს და მოწყობილობის სხვა უნიკალურ იდენტიფიკატორებს, ვებ-გვერდებზე გატარებული დროის ხანგრძლივობას, გახსნილი გვერდების შესახებ ინფორმაციას, ონლაინ ნავიგაციის ისტორიას, ბრაუზერის შესახებ ინფორმაციას, ინფორმაციას იმ ქმედებების შესახებ, რომელიც ჩვენს ვებგვერდზე განხორციელდა, რა გეოლოკაციიდან განახორციელეთ წვდომა და რა ენაზე გაეცანით ინფორმაციას. ვცდილობთ გავიგოთ, თუ როგორ იყენებთ ჩვენს ვებგვერდს.

ჩვენ არ ვათავსებთ თქვენს მოწყობილობაზე მესამე მხარის მზა ჩანაწერებს.

თუ არ გსურთ თქვენს მოწყობილობაზე მზა ჩანაწერების განთავსება, თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ თქვენი ინტერნეტ-ბრაუზერის პარამეტრები.

## რა მიზნით ვამუშავებთ მონაცემებს?

ჩვენ ვამუშავებთ თქვენს მონაცემებს მხოლოდ კანონიერი მიზნებისთვის და მათი შესაბამისი მოცულობით. ბანკის მიერ მონაცემების დამუშავება შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა მიზნით, მათ შორის:

- მომსახურების გასაწევად;
- კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით მარეგულირებლის ან სხვა საზედამხედველო ორგანოსათვის და აუდიტორული კომპანიებისთვის მონაცემების ხელმისაწვდომობისთვის;
- მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე თაღლითობის, ფულის გათეთრების ან სხვა დანაშაულის პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთისათვის;
- მომსახურების გაუმჯობესებისათვის, რაც, მათ შორის, გულისხმობს ტრანზაქციული ისტორიის ანალიზს, სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და სხვა;
- მარკეტინგული მიზნით, რაც გულისხმობს ბანკის მიერ სხვადასხვა პროდუქტის/მომსახურების პერიოდულად შეთავაზებას.

## პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საფუძვლები

ჩვენ მიერ თქვენი მონაცემების დამუშავების საფუძველია:

- თქვენი ნებაყოფლობითი თანხმობა მონაცემთა დამუშავების თაობაზე;
- თქვენთვის მომსახურების გაწევა;
- ჩვენთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულება.

## ვის ვუზიარებთ თქვენს მონაცემებს?

კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად შესაძლოა გავუზიაროთ თქვენი მონაცემები:

- თქვენს წარმომადგენელს/კანონიერ წარმომადგენელს;
- კანონმდებლობით განსაზღვრულ ორგანოებს;
- მომსახურების პროვაიდერებს;
- კომპანიებს, რომლებიც გვიწევენ მომსახურებას ან გასწევენ მომსახურებას ჩვენი სახელით.

თქვენი მონაცემების სათანადოდ დაცვის მიზნით, მესამე მხარისათვის თქვენი პერსონალური მონაცემების გადაცემამდე ჩვენ ვამოწმებთ მათ მიერ მიღებულია თუ არა მონაცემთა დასაცავად შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები.

## თქვენ უფლება გაქვთ:

- მიიღოთ ინფორმაცია თქვენს შესახებ დამუშავებული მონაცემების თაობაზე, კერძოდ, რა მონაცემები მუშავდება, რა არის მათი დამუშავების მიზანი და სამართლებრივი საფუძველი, ინფორმაცია მონაცემთა შეგროვების წყაროსა და მონაცემთა გადაცემის შესახებ;
- მოითხოვოთ მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება;
- მოითხოვოთ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება, თუ:
    - გაითხოვთ თანხმობას, რომელიც წარმოადგენს მონაცემთა დამუშავების ერთადერთ საფუძველს;
    - მონაცემების დამუშავება აღარ არის საჭირო იმ მიზნისთვის, რომლისთვისაც მოხდა მათი დამუშავება;
    - მონაცემთა დამუშავება ხდება უკანონოდ.
- მოითხოვოთ მონაცემთა  დაბლოკვა, თუ:
    - სადავოა მონაცემთა ნამდვილობა ან სიზუსტე;
    - მონაცემთა დამუშავება უკანონოა, თუმცა თქვენ არ გსურთ მათი  მათ წაშლას და ითხოვთ მხოლოდ მათ დაბლოკვას;
    - მონაცემები აღარ არის საჭირო მათი დამუშავების მიზნის მისაღწევად, თუმცა თქვენ ისინი გესაჭიროებათ სამართალწარმოების მიზნით;
    - მიმდინარეობს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების მოთხოვნის განხილვა;
- ნებისმიერ დროს გაითხოვოთ/უარი თქვათ მონაცემთა დამუშავების თაობაზე თქვენს მიერ გაცემულ თანხმობაზე და მოითხოვოთ მის საფუძველზე დამუშავებული მონაცემების წაშლა. ჩვენ შევწყვეტთ მონაცემთა დამუშავებას და წავშლით უკვე დამუშავებულ მონაცემებს, თუ არ არსებობს მონაცემთა დამუშავების კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.
- ავტომატიზირებული საშუალებებით თქვენ შესახებ ისეთი გადაწყვეტილების მიღებისას, რომელიც  თქვენთვის წარმოშობს სამართლებრივ, ფინანსურ ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის შედეგს, მოითხოვოთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადამიანური რესურსის ჩართულობა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ავტომატიზირებული საშუალებებით მონაცემთა დამუშავება ხორციელდება თქვენი თანხმობით, აუცილებელია ხელშეკრულების დასადებად/შესასრულებლად ან გათვალისწინებულია კანონით;

- თქვენი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს და/ან სასამართლოს;

## თქვენი უფლებების შეზღუდვა

თქვენი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს, თუ მათი რეალიზაცია საფრთხეს უქმნის:

- ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ან თავდაცვის ინტერესებს;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს;
- ქვეყნის მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ (მათ შორის, მონეტარულ, საბიუჯეტო და საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებულ) ინტერესებს;
- დანაშაულის გამოვლენას, გამოძიებასა და აღკვეთას;
- თქვენი ან სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს.

უფლებების შეზღუდვის ზომას ბანკი იყენებს მხოლოდ შეზღუდვის მიზნის ადეკვატურად და პროპორციული მოცულობით.

## მონაცემთა უსაფრთხოების დაცვა

თქვენს შესახებ დამუშავებულ მონაცემებს ჩვენ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით ვინახავთ. ჩვენ უზრუნველვყოფთ ფიზიკურ, ტექნიკურ და ორგანიზაციულ გარანტიებს თქვენი მონაცემების დასაცავად. ჩვენ ვიცავთ ჩვენი ელექტრონული მოწყობილობების, ფაილების, შენობის უსაფრთხოებას. ჩვენ ასევე გვაქვს ფიზიკური, ელექტრონული და პროცედურული კონტროლის მექანიზმები, რათა დავიცვათ თქვენი მონაცემები არაავტორიზებული წვდომისგან, გამოყენებისგან, გადაცემისგან, დაკარგვისგან ან განადგურებისგან.

ჩვენი თანამშრომლები იცავენ მონაცემთა კონფიდენციალურობის, უსაფრთხოების პოლიტიკებს და პროცედურებს კანონმდებლობისა და შიდა ორგანიზაციული დოკუმენტების შესაბამისად.

## მონაცემთა შენახვის ვადა

ჩვენ თქვენს მონაცემებს ვინახავთ:

- იმ ვადით რაც აუცილებელია დამუშავების მიზნის მისაღწევად;
- მომსახურების გაწევის ფარგლებში დადგენილი ვადებით;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებით;
- საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების შესაბამისად.

## თქვენი ვალდებულებები

მომსახურების მიღების მიზნით აუცილებელია გვქონდეს თქვენ შესახებ სრულყოფილი და სწორი ინფორმაცია, აქედან გამომდინარე გთხოვთ, თქვენი საკონტაქტო და ან სხვა ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში შეგვატყობინოთ.

**თუ გსურთ, მიიღოთ ინფორმაცია თქვენს მონაცემებთან დაკავშირებით ან განახორციელოთ დამატებითი ქმედება, გთხოვთ მოგვმართოთ ქვემოთ მითითებულ ელექტრონული ფოსტაზე, ან ჩვენი ვებ გვერდის მეშვეობით, ან ეწვიოთ ჩვენს ნებისმიერ ფილიალს. თქვენი მოთხოვნა განიხილება და პასუხი გეცნობებათ 10 დღის ვადაში.**

## საკონტაქტო ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: pdp@bog.ge

## ცვლილებები

ჩვენ შესაძლოა აღნიშნულ დოკუმენტში პერიოდულად შევიტანოთ ცვლილებები. განახლებული დოკუმენტი ცვლილების თარიღის მითითებით გამოქვეყნდება ჩვენს ვებ-გვერდზე. თქვენი პასუხისმგებლობაა, რომ პერიოდულად ეწვიოთ ჩვენს ვებგვერდს და ცვლილების შემთხვევაში გაეცნოთ შეცვლილ პოლიტიკას. პოლიტიკაში ცვლილებების შეტანის შემდეგ ჩვენთვის თქვენს მიერ ინფორმაციის მოწოდება ან ჩვენი ვებგვერდებით სარგებლობა ნიშნავს, რომ თქვენ ეთანხმებით ცვლილებებს.

**თარიღი: 15.03.2022**